

ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ევროპული ქარტიის
სრულად რატიფიცირების პერსპექტივები საქართველოში -
უფლებამოსილებათა გამიჯვნის პრობლემა ცენტრალურ
ხელისუფლებასა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს
შორის

გიორგი ჩიფჩიური

*სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
სამართლის სკოლის საჯარო სამართლისა და პოლიტიკის მაგისტრის აკადემიური
ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

საჯარო სამართალი და პოლიტიკა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: კონსტანტინე კუბლაშვილი, პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2019

”როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

გიორგი ჩიფჩიური,

05.02.2019.

აბსტრაქტი

2018 წლის 16 დეკემბრის შემდეგ საქართველოში ახალი კონსტიტუციური წესრიგი დამყარდა. ძირითადი კანონის ახალმა დებულებებმა სხვადასხვა ნოვაციასთან ერთად დაადგინა კონსტიტუციური ინსტიტუტების ვალდებულება - უფლებამოსილების ფარგლებში მიიღონ ყველა ზომა ევროპის კავშირსა და ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაში საქართველოს სრული ინტეგრაციის უზრუნველსაყოფად. მიუხედავად იმისა, რომ ეს ჩანაწერი კონსტიტუციის გარდამავალი დებულებების თავში აისახა და იურიდიული ბუნებით სამართლებრივი წესრიგის დროებით მოვლენას არეგულირებს, მისი შესრულება ისეთივე სავალდებულოა, როგორც ძირითადი კანონის დანარჩენი დებულებების.

დასავლურ პოლიტიკურ და სამართლებრივ ღირებულებებთან ჰარმონიზაცია უშუალო კავშირშია საქართველოს ევროკავშირსა და ნატოში ინტეგრაციასთან. წარმოდგენილი ნაშრომის ფარგლებში განხილულია ადგილობრივი დემოკრატიის განვითარების ძირითად ფასეულობასთან ქართული სამართლებრივი სივრცის ჰარმონიზაციის პერსპექტივა. კერძოდ წარმოდგენილ ნაშრომში მიმოხილულია საქართველოში ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ევროპული ქარტიის სრული რატიფიცირების სამართლებრივი პერსპექტივის შეფასება (რატიფიცირების შემდგომ ჩამოყალიბებადი სამართლებრივი ურთიერთობების ანალიზი) და საქართველოში ადგილობრივი დემოკრატიის განვითარების აქტუალური პრობლემა - ახდენს თუ არა ნეგატიურ გავლენას ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ევროპული ქარტიის არასრული რატიფიკაცია სახელმწიფოში ცენტრალური ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის უფლებამოსილებების გამიჯვნის პროცესზე.

სამართლებრივი ლოგიკის, ნორმის განმარტების დოქტრინაში აღიარებული ძირითადი მეთოდების გამოყენებისა და სამართლებრივად არგუმენტირებული მსჯელობის მოშველიებით ნაშრომის დასკვნაში შეფასებულია საქართველოში ადგილობრივი თვითმმართველობის ევროპული ქარტიის სრულად რატიფიცირების შესაძლო სამართლებრივი და პოლიტიკური შედეგები და მათი გავლენა ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის უფლებამოსილების გამიჯვნის პროცესზე.

ძირითადი საძიებო სიტყვები: ადგილობრივი თვითმმართველობა, ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ევროპული ქარტიის რატიფიკაცია, უფლებამოსილების გამიჯვნა ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის

Abstract

The new constitutional regime was established after 16 December of 2018 in Georgia. New constitutional law together with other novelties defined the obligation of constitutional institutions – to take all measures to guarantee full integration of Georgia into European Union (EU) and North Atlantic Treaty Organization (NATO) within the scope of their authority. Despite the fact that this obligation has been inserted into the chapter of transitional provisions of Constitution and by its legal nature it regulates a temporary aspect of legal order, its implementation is as binding as other provisions of Constitution.

Harmonization with western political and legal values is directly connected to the integration of Georgia into EU and NATO. The present paper will analyze the perspective of harmonization of the main value of local democracy with Georgian legal order. Respectively, the presented paper will assess the legal perspective of ratification of European Charter of Local Self-Government in Georgia (analysis of legal relations formed after the ratification) and the problem of development of local democracy in Georgia – whether incomplete ratification of the European Charter of Local Self-Government by Georgia negatively affects division of central government and local self-government.

The concluding part of the paper will assess possible legal and political consequences of ratification of the European Charter of Local Self-Government by Georgia and its influence over the division of powers between central and local governments through the following methods: legal logic, main methods of norm interpretation recognized in doctrine and by argumentative legal analysis.

Key Words: Local Self-Government, Ratification of the European Charter of Local Self-Government, Division of Powers between Central and Local Governments.